INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.moa.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 09 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

www.moa.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
30,43%
78,57%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
37,50%
24,67%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
18,33%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
30,77%
20,63%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
23,81%
20,90%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
19,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
13,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
16,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი“ სასურველია მოყვანილ იქნეს იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. სამინისტროს მოქმედი დებულების თანამად: „საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“ ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერაც.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მინისტრი

ბიოგრაფია

ბაკურ გიორგის ძე კვეზერელი დაიბადა 1981 წლის 5 იანვარს თბილისში.
2002 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის სისტემების ფაკულტეტი ეკონომიკური-ინფორმატიკის სპეციალობით.
2005 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა საბანკო საქმის სპეციალობით და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.
2005 წელს ქ. ტოკიოს ტოკასიუკუს უნივერსიტეტში გაიარა მოკლე კურსი თემაზე: "საერთაშორისო დახმარების ეფექტური გამოყენება".
2002-2003 წლებში მუშაობდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ.
2003-2004 წლებში - ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის აპარატში სპეციალისტად.
2004-2005 წლებში მუშაობდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში.
2005-2006 წლებში საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონული ეკონომიკის განყოფილებაში.
2006 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.
2007 წლის 3 მარტიდან დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ.
2008 წლის 29 აპრილიდან დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

3. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად მინისტრს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის ერთი - პირველი. ვებ-გვერდზე მოყვანილ ქვე-განყოფილებაში - ,,მოადგილეები“ მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ ორი მოადგილის შესახებ. ამასთან, სამინისტროსთან სატელეფონო კავშირის საფუძველზე გაირკვა, რომ მინისტრის მესამე მოადგილის პოზიცია ვაკანტური არ არის / მოქმედია. შესაბამისად, საჭიროა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს მესამე მოადგილის შესახებ (მისი სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები).

ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, სასურველია ქვე-განყოფილებაში - ,,მოადგილეები“ მოყვანილი იყოს მინისტრის უკლებლივ ყველა მოადგილის კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) და იმ სფეროთა აღწერა, რომლებსაც კანონმდებლობის თანახმად კურირებენ მოადგილეები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაციული მითითება თუ რომელი მოადგილე წარმოადგენს მინისტრის პირველ მოადგილეს:

მინისტრის მოადგილეები

კონსტანტინე კობახიძე

დაბადების თარიღი: 1978 წლის 20 სექტემბერს
ენების ცოდნა: ინგლისური და რუსული
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და შვილი

განათლება

1999 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის და მარკეტინგის ფაკულტეტი ს ბაკალავრიატი სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნე ექსპერტის სპეციალობით

2001 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურა სასურსათო პროდუქტების საქონელმცონდე კომერსანტის სპეციალობით

2009 დაამთავრა სამეფო აგრარული კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი (MBA) – სპეციალობა სურსათის და აგრო-ბიზნესის მენეჯმენტი
სადისერტაციო ნაშრომი – სურსათის საცალო სავაჭრო ქსელების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სამუშაო გამოცდილება

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფოსტო (საფოსტო ინდექსზე მითითება) და ელექტრონული ფოსტის მისამართები, შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი (რომელიც შესაძლებელია გადმოტანილ იქნეს ვებ-გვერდზე განთავსებულ სამინისტროს შინაგანაწესიდან):

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროს, ამოცანების, უფლება-მოვალეობების აღწერა და სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. განყოფილებაში „კონტაქტი“ არ მოიძიება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ცენტრალური აპარატის (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის) და სისტემაში შემავალი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უკლებლივ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები).

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის/სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სამინისტრო სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალში არ მოიძიება ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტების განხორციელების დეპარტამენტისა და შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ. ამასთან, მოქმედი დებულებით გათვალისწინებული აღარაა ვებ-გვერდზე განთავსებული შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ განთავსებული ინფორმაცია: რეგიონალური მართვის დეპარტამენტი და გენერალური ინსპექცია.

განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თანამშრომლები“ არ მოიძიება ინფორმაცია სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტების განხორციელების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შესახებ:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა არქივი, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (გარდა ერთადერთი 2009 წლით დათარიღებული საბიუჯეტო განაცხადისა), სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ანგარიშები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილებები სათაურად - „პროექტები“ და „პროგრამები“ და ბანერი - „იაფი სესხი“ არ მუშაობენ, ხოლო ქვე-განყოფილება სათაურად „სტრატეგია“ ცარიელია. ქვე-განყოფილებებში „კანონები“ და „ბრძანებები“ არცერთი სამართლებლივი აქტის ბმული არ იხსნება. *ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ჩამონათვალი (მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები, კადასტრები და ა.შ.) ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე:*

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან, 2010 წლის 19 ოქტომბრამდე განხორციელებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.)*

ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/proeqtebi_da_prohramebi.pdf*);*

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები:

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

12. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ფონდის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

13. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. ქვე-განყოფილება ,,ტენდერების“ შიგთავსი ქაოტურია, სახელდობრ, მოცემულია სამი სატენდერო განცხადება და განყოფილებისათვის ალოგიკური რიგი სხვა დოკუმენტებისა:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა - მართალია არსებობს განყოფილება სათაურად ,,კანონმდებლობა“, თუმცა ქვე-განყოფილებებში „კანონები“ და „ბრძანებები“ მოყვანილი არცერთი სამართლებრივი აქტის ბმული არ იხსნება. ვებ-გვერდზე განთავსებული სამინისტროს დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით. ამასთან, ქვე-განყოფილებაში ტენდერები განთავსებულია ორი სამართლებრივი აქტი, რომელიც ლოგიკურად არ ეხმაურება საკუთარ ქვე-განყოფილებას. ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუცია, საქართელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონი:



ქანონები

საქართველოს ქანონი მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ.
საქართველოს ქანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ.
საქართველოს ქანონი სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ.
საქართველოს ქანონი ვეტერინარიის შესახებ.
საქართველოს ქანონი წყლის შესახებ.
საქართველოს ქანონი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ბარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ.
საქართველოს ქანონი მიწების მელიორაციის შესახებ
საქართველოს ქანონი ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ
საქართველოს ქანონი სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ
საქართველოს ქანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ
საქართველოს ქანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ
საქართველოს ქანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ
საქართველოს ქანონი მეფუტკრეობის შესახებ
საქართველოს ქანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ
საქართველოს ქანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა სამინისტროში მიღების წესის აღწერა. აგრეთვე, თითქმის არ არის სახეზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას მიძღვნილი მასალები, რომლებიც მიეკუთვნება სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს (კონსულტაციები, განმარტებები, საინფორმაციო შეტყობინებები და მისთ.).

17. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ქვე-განყოფილება ,,ტენდერები" შემოიფარგლება მხოლოდ სამი მოძველებული სატენდერო განცხადებით, რაც შეუძლებელია მოაზრებულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების ამომწურავი ჩამონათვალად.

*(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინსიტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/5_shesyidvebi0001.pdf

ამასთანავე მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელის აგრეთვე მოწოდებულ იქნა. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/soflismeurneoba_shesyidvebi0001.pdf).

19. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც მოყვანილ იქნებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.:

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. მართალია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „ბიუჯეტი“, თუმცა მასში მოყვანილია ერთადერთი დოკუმენტი - 2009 წლით დათარიღებული მხარჯავი დაწესებულების განაცხადი ორგანიზაციულ ჭრილში:



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/biujeti_2009.pdf

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით, რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/biujeti_2009.pdf).

ზემოთ ხსენებულ ქვე-განყოფილებაში სასურველია განთავსდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ხელმძღვანელ პირებზე 2009/2010 წლებში გაცემული პრემიების საერთო კვარტალურ ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/__avto_da_mob_shesyidvebi__mivlinebebi_da_premiebi0001.pdf

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კომკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/solismeurneoba_xelfasipremia.pdf).

- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად სამინისტროსათვის მიწოდებული რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47,06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
31,58%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
28,57%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- ## ნავიგაცია

მთავარ გვერდზე დაბრუნება გართულებულია, რადგან მენიუში არ არსებობს პუნქტი მთავარი გვერდი, მის მაგივრად ფუნქციონირებს განყოფილება სიახლეები, ხოლო სიახლეებზე დაჭერით მთავარ გვერდზე ვერ ვხვდებით, რადგან იგი ჩამოსაშლელი მენიუა:

ენის გადასართავი ღილაკებს დაკარგული აქვთ თავისი გაფართოება, რის გამოც ისინი ცუდად ჩანან:

ვებ-გვერდზე უხეში შეცდომაა დაშვებული, facebook-ის მოდულის არასწორად ინტეგრაციის გამო მისი მენიუ ნახევრად ჩანს, ხოლო Facebook-ის მოდული კი ზემოდან არის გადმოსული. ეს პრობლემა სწორდება Flash-მენიუდან, Transparent-ის ფუნქციის მოხსნით:

ვებ-გვერდზე შეუძლებელია მენიუს ზოგიერთ პუნქტზე შესვლა, მაგალითად „პროექტებში“, „პროგრამებში“:

- **ძიება**

თუ ვებ-გვერდზე, ძიება წარუმატებლად დამთავრდა, ან ვერ მოიძებნა შესაბამისი მასალა, არ გამოდის არანაირი შეტყობინება:



ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გამოვიდეს რაიმე შეტყობინება, რომ ინფორმაცია ვერ მოიძებნა;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ინგლისურ ვერსიაზე გადართვით, მენიუს ნახევარი რჩება ქართულ ტრანსკრიფციაზე:

ასევე სამინისტროს დასახელებაც ქართულია. ენის შეცვლასთან ერთად საჭიროა შეიცვალოს ყველა ქართული სათაური თუ მენიუ შესაბამისი არჩევანის მიხედვით;

ვებ-გვერდზე განთავსებულ სიახლეებს საერთოდ არ აქვთ სათაურები. იმისთვის, რომ მოხმარებელმა მარტივად აღიქვას სიახლეები, აუცილებელია ყველა სიახლეს ჰქონდეს შედარებით მსხვილი შრიფტით გამოსახული სათაური:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო გვერდზე არ მოიპოვება ელექტრონული ფოსტის (მათ შორის სამინისტროს ოფიციალური ელ.ფოსტის) მისამართები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ სივრცეში ერთდროულად მოქმედებს სოფლის მეურნეობის ძველი და ახალი ვებ-გვერდები - www.maf.ge (Ministry of Agriculture and Food) და www.moa.gov.ge მიუხედავად ორივე რესურსის იდენტურობისა ამ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის დაბნევა.

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე, კანონმდებლობის განყოფილებაში, წაშლილია კანონების უმეტესი ნაწილი:



კანონების კატეგორიის ბმული: http://moa.gov.ge/index.php?l=2&pg=kn

ანალოგიური სიტუაციაა ბრძანებებში: http://moa.gov.ge/index.php?l=2&pg=br

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდი ყველა ბრაუზერში ჩანს ნორმალურად, თუმცა მის HTML კოდირებაში დაშვებულია შეცდომები, ამაში იგულისხმება ის ფაქტი, რომ ბრაუზერის დაბლა ჩანს Scroll-ი, ანუ ვებ-გვერდის მარჯვნივ არის დიდი ცარიელი სივრცე:

ვებ-გვერდის არქივზე გადასვლის დროს იკარგება არჩეული ენა:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე არ იფილტრება ინფორმაციის გადაცემა, რაც უსაფრთხოების კუთხით საკმაოდ სახიფათოა, შესაძლებელია განხორციელდეს Blind Sql Injection:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია ძველი დიზაინის ტენდენციებზე, თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ დამატებული აქვს თანამედროვე ფუნქციები, მაგრამ არა სრულყოფილად, მაგალითად სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია. ასევე, არსებობს სტრუქტურის კოდირების უხეში შეცდომები. ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხითაც. პირველ რიგში მოსაწესრიგებელია სტრუქტურული მხარე და დიზაინი, აუცილებელია ბევ-გვერდზე წარმოდგენილი მონაცემთა ბაზების ფუნქციონალური გამართულობა (კანონმდებლობა), ხოლო შემდეგ დასამატებელი აქვს ონლაინ სერვისები და თანამედროვე ფუნქციები.